პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Do IT with the EU

განხორციელების ვადა: 15.06.2023 - 15.06.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 500 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 500 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
GITA

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/DoITinGeorgia/

პროექტის ვებსაიტები: doit.gov.ge/

პროექტის აღწერა:

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ევროკავშირთან და კერძო სექტორთან, მათ შორის ადგილობრივ IT კომპანიებთან, პარტნიორობით განახორციელებს პროექტს "Do IT with the EU", რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეების მიერ მომავლის უნარების დაუფლება-გაუმჯობესებას. პროექტი ეფუძნება GITA-ს წარმატებულ 3000 IT სპეციალისტის უფასოდ გადამზადების პროგრამას, რომლითაც უკვე ისარგებლა 3000-ზე მეტმა ადამიანმა.
პროექტი შედგება ორი ნაწილისგან: სასერტიფიკაციო პროგრამა და დასაქმების პროგრამა.
სასერტიფიკაციო პროგრამის ფარგლებში მომზადდება დამატებით 1000 IT სპეციალისტი, რომელთაც გადაეცემათ ვაუჩერები საერთაშორისოდ აღიარებული სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის. ეს შექმნის მეტ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს, წაახალისებს მეწარმეობას და ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში შესვლას.
დასაქმების პროგრამის ფარგლებში გამოვლინდება საქართველოში არსებულ მოქმედ IT კომპანიებში ყველაზე მოთხოვნადი IT პოზიციები, რათა 300 IT სპეციალისტი გადამზადდეს სწორედ ამ როლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით. წარმატებულ მონაწილეებს გარანტირებული ექნებათ სამუშაო ადგილები ხსენებულ კომპანიებში, რაც ხელს შეუწყობს მეტი საერთაშორისო კომპანიის შემოსვლას ქართულ ბაზარზე და ეკონომიკური სარგებლის მოტანას გადასახადების გზით. გარდა ამისა, ადგილობრივი IT სპეციალისტები ისარგებლებენ მაღალანაზღაურებადი პოზიციებითა და საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობით.

მოსალოდნელი შედეგები:

1) გაძლიერებული IT ეკოსისტემა: პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ძლიერი IT ეკოსისტემის განვითარებას;

2) გაუმჯობესებული უნარები და გაზრდილი დასაქმება: პროგრამის მეშვეობით დამატებით 1300 IT სპეციალისტი აიმაღლებს კვალიფიკაციას და მიიღებს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს;

3) ინტეგრაცია გლობალურ ღირებულებების ჯაჭვში: ციფრულ და ICT უნარებში არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზით, პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს კერძო სექტორის კლობალურ ღირებულებების ჯაჭვებში ინტეგრირებას;

4) ეკონომიკის აღდგენა და მოდერნიზება: ციფრული უნარების განვითარება და IT ეკოსისტემის ფორმირება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებას. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღდგენას COVID - 19 პანდემიის შემდეგ;

5) ინკლუზიური და მდგრადი ზრდა: პროექტი ხელს შეუწყობს ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემით, ციფრული უნარების განვითარებითა და IT სექტორში აქტიური ჩართულობით;